



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N39

2019 წლის 31 იანვარი

ქ. ქობულეთი

სს „სილქნეტი“-სათვის  
საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე  
თანხმობის მიცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა სს „სილქნეტი“-ს თანდართული სქემის შესაბამისად ქ.ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N374-ის მიმდებარედ სატელეფონო კანალიზაციის მშენებლობისა და არსებულ გარე განათების ბოძზე საჰაერო კაბელის მონტაჟისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე.

2. სს „სილქნეტმა“ უზრუნველყოს სატელეფონო კანალიზაციის მშენებლობისა და საჰაერო კაბელის მონტაჟისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



დ.მჭედლიშვილი





**კომენტარი**  
 ასაყვებია ნებართვა გარე განათების ზოძე კანელი მონტაჟისთვის

**პირობითი ნიშნები**

- საპროექტო კანელი არსებული განათების ზოძი
- არსებული ჭა არსებული სატ. კანალიზაცია

<b>1-4</b>							
კომულები, დ. აღმაშენებელი გამზირის N 374 2094 პროექტის ფარგლებში ობიექტის P2P ქსელში ჩართვა							
სახაზო ნაბეჭობები	<table border="1"> <tr> <th>CRM ID</th> <th>შარტული</th> <th>ბა</th> </tr> <tr> <td>200611</td> <td>1</td> <td>1</td> </tr> </table>	CRM ID	შარტული	ბა	200611	1	1
CRM ID	შარტული	ბა					
200611	1	1					
სანებართვო ესკიზი	<table border="1"> <tr> <td>ს.ს. სირაქიანი ავტორიზირებული 7/21/2018</td> <td></td> </tr> </table>	ს.ს. სირაქიანი ავტორიზირებული 7/21/2018					
ს.ს. სირაქიანი ავტორიზირებული 7/21/2018							